# სამშობლო

ოთხშაბათი
16 სექტემბერი.
წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს ... ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 176 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 176

ტელეფონი № 76.


„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა."

ტელეფონი № 76.


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო"
ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.



უზომოდ დამწუხრებულნი მშობლები: კოლეჟსკი ასესორი პლატონ ნიკოლოზის ძე სალაძე და მეუღლე მისი სონა ვლადიმერის ასული შვილებით: კალისტინა, ანეტა, შალვა, ლეონიდი, დათიკო, პლატონი, ცეკრა და გივი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 20 ენკენისთვეს, სოფ. დილიკაურში, ნიჟაროულის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება გარდაცვალებიდან 40 დღის წირვა და პანაშვიდი უდროვოდ გარდაცვალებულის, პირველის ორის დაუვიწყარი შვილის, ხოლო დანარჩენთა ძვირფასი ძმის

ვლადიმერის (ვალოდია) სულის მოსახსენებლად.
3—3—1083

უზომოთ დამწუხრებულნი მშობლები: კონსტანტინე რიჟამაძე და მეუღლე მისი მანადარა შვილებით: ელენე, მარიამ, ჟიულეტა, კოლია, შალვა და გრიშა და ბიძები: კონსტანტინე წულუკიძე და დავით რიჟამაძე ოჯახობით, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 17 სეკტემბერს, დანიშნულია დაკრძალვა ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპულის

პოდპორუჩიკის იოსების (იოსკას).

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს $5^1/_2$ საათზე, ხოლო გამოსვენება ნაშუადღევის $3^1/_2$ საათზე, ლევაშოვის ქუჩაზე, საკუთარ სახლიდან. 1—1

მასწავლებელი იოსებ თადეოზის ძე სანებლიძე და მეუღლე მისი ვერა ალექსის ასული გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 13 სეკტემბერს, დილის 7 საათზე ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი ქალიშვილი

ნინო,

კურსისტკა—მოსკოვის ქალთა უმაღლესი კურსებისა.
პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. ბალახვანის ქუჩა, საკუთარი სახლი. დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, 16 სეკტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე.
1—1

ნაფიცი ვექილის თანაშემწე შალვა იოსების ძე სანებლიძე და მეუღლე მისი ალექსანდრა ალექსის ასული გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ, რომ 13 სეკტემბერს, დილის 7 საათზე, ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის უსაყვარლესი და დაუვიწყარი და და მეორესი მული

ნინო,

კურსისტკა მოსკოვის ქალთა უმაღლესი კურსებისა.
პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. ბალახვანის ქუჩა, საკუთარი სახლი. დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, 16 სეკტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე.
1—1

შაბათს, 19 სეკტემბერს, სოფ. ახალქალაქს (ლეჩხუმის მაზრა) გელოვანთა საგვარეულო ეკლესიაზე გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი აწ განსვენებულის ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის

თავად იასონ დავითის ძის გელოვანის

სულის მოსახსენებლად, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ განსვენებულის ქვრივი კნ. ივდითი მერაბის ასული, ძე თ-დი შოთა გელოვანი და მეუღლე მისი კნ. ელენე ფარსადანის ასული, ბაბო ნიჟარაძისა ქმარშვილით, დისწული კნ. პაშა ახვლედიანისა ქმარშვილებითა და შვილიშ-შვილნი გუგული და ზინა კვიტაშვილის ასულნი. 2—1

ქ. ქუთაისი.
ექიმი ქალი ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა
ლ. ა. კეტლერი-დადუნაშვილისა
ღებულობს შინაგან და ქალთა ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. დ საღ. 5—6 ს.
ქარვასლის ქუჩა, (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები.
თვ. 975

ელექტრო „რადიუმი" თეატრი
სამშაბათიდან, 15 სეკტემბრიდან, მხოლოდ ორი დღით ახალი ფართო პროგრამა.
გომონის ქრონიკა. მიმდინარე ცხოვრებიდან.
სენსაცია! ჯერ არნახული სურათი:
ქალი ვეფხვი (კოჭლი)
თანამედროვე დრამა 3 ნაწილათ. მონაწილეობას მიიღებენ: მოსკოვის საიმპერატორო თეატრის გამოჩენილი მსახიობი ქალი ა. ა. შჩეპკინისა, (ვერა გრაევის როლში); მოსკ. დრამ. თეატ. მსახ. ქალი ო. ვ. როხმანოვისა, (კორინის როლში) და დ. გ. ტერეკი (ნანოს როლში.
ბოროტი უმაწვილი. ძლიერი კომიკური სურათი.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 17 სეკტემბრიდან, ნაჩვენები იქნება სამხედრო ცხოვრებიდან საყურადღებო სურათი: ახალგაზდა გმირი. ძლიერი დრამა უკანასკნელ ბრძოლის ამბებიდან 6 ნაწილათ.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით საავენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა
„რუსეთი" („როსსია"),
სადაც შეიძლება დაზღვევა სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.
პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდეთ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.
თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა
აუწყებს იმ პირთ, რომელთაც სურთ სასწავლებლის ადგილის მიღება ქალაქის პირველ დაწყებითი სასწავლებელში, რომ ამა სეკტემბრის 17, 18, 19 და 20 რიცხვს მოხდება მსურველთაგან
სანიმუშო გაკვეთილების მიცემა
ქალაქის 2 პირველდაწყებით სასწავლებლის შენობაში.
გენერლის ქუჩაზე. 3—2

ექიმი გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. დორთქიფანიძის სახლი. თვ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ბებია მ. მ. კოხრეიძე
უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი ი. ჩარექიშვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფიანიძის სახლი. თ.

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისათვის, უმაღლეს დასწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის ვამზადებ მოწაფეებს, ეგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.
მისამართი: ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.
პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—6 ს.


## ომი

(პეტ. ტელ. სააგენტოსაგან)

### კავკასიის ასპარეზი.

**ტფილისი.** 13 ეკენ. ოლთისის მიმართულებით 10 ეკენისთვეს ჩვენს მზვერავებს შეტაკება ჰქონდათ ოსმალებთან ხრისტასფორის რაიონში. მელაზგერთის რაიონში სოფელ ფრენეკთან ჩვენს ცხენოსნებს სროლა ჰქონდა გამიდიელებთან. ვანის რაიონში ანგის აღმოსავლეთით მოწინავე ჯარის შორის ბრძოლაა. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

### აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 12 ეკენ. ოფიციალური. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან. რიგის რაიონში ალაგ-ალაგ საარტილერიო სროლა გაძლიერდა. გერმანელები აქაც ხმარობენ სულის შემხუთავ გაზიან ყუმბარებს. დვინსკის პოზიციების მთელ ფრონტზე, დვინასა და დრისვიატის ტბის შუა გაცხარებული ბრძოლაა, რომელსაც ეხმარება არტილერიის გრიგალისებური ცეცხლი. გერმანელები გამაგრებულ გამეორებით იერიშებს აწარმოებენ. ყველა იერიში მტრისა მოვიგერიეთ. ზოგიერთი თხრილი ხელიდან ხელში გადადიოდა. დვინსკის გზატკეცილის გასწვრივ, ლავგარსკის ტბისა და ნოვო ალექსანდროვსკის რაიონში მტერმა შესძლო ჩვენს თხრილებში შემოჭრა, მაგრამ ჩვენი კონტრ შეტევით იძულებული გახდა უკან დაეხია. გერმანელებმა ხელახლათ შეაგროვეს ძალა და ხშირ-ხშირ ჯგუფებით შემოგვიტიეს, მაგრამ ჩვენმა არტილერიის თოფისა და ტყვიის მტყორცნელების გრიგალისებურმა ცეცხლმა მტერი უკუაქცია. ცოტა ხანს შემდეგ კვლავ განაახლეს იერიშები იმავე მიმართულებით. არტილერიის ცეცხლმა უკიდურეს გაძლიერებამდი მიაღწია. ეს იერიშებიც მოვიგერიეთ. ალაგ-ალაგ მტერმა ვერგაუძლო ბრძოლას და გაიქცა მტრის ზარალი დიდია. დიდია ზარალი ჩვენი მხრიდანაც, რაც შედეგი იყო თავგანწირული ბრძოლებისა და რაც ამტკიცებს ჩვენი ჯარის ძლევა მოსილობას. ერთერთმა ჩვენმა ნაწილმა, რომელიც კონტრიერიშის დროს გახურებულ ბრძოლაში გარშემორტყმული იყო გერმანელებისაგან, შტიკებით გაარღვია მტერი და შეუერთდა მეზობელ ჯარს. ოშმიანიდან პრიპიატამდი მდებარე რაიონში არსებითი ცვლილება არ მომხდარა. კერძო შეტაკებები ხდებოდა ნოვო გარუდსა და ბარანოვიჩის რაიონებში. დამატებითი ცნობებით ლოგიშინთან მომხდარ ბრძოლის დროს გერმანელების 41-ე კორპუსს დიდი ზარალი მოსვლია. ამ კორპუსის უწესრიგოთ უკანდახევის დროს ტყვეთ წამოვიყვანეთ 7 ოფიცერი, 50 ჯარის კაცი დაუჭრელი და 7 ტყვიის მტყორცნელი. ჩვენ ხელში დარჩა აგრეთვე ბევრი დაჭრილი გერმანელებისა, რომელთა რიცხვიც ჯერ გამორკვეული არაა.

დუბნოს რაიონში გაცხარებული ბრძო-

ლა ხდებოდა სოფ. ხორუპანისა და გოდოვშჩინის ხელში ჩაგდებისათვის. მცირე შეტევით ჩვენმა ჯარმა ტყვეთ წამოიყვანა 30 აფიცერი, 11,600 ჯარის კაცამდი და ტყვიის მტყორცნელი. იერიშთან ერთად მტერმა აამოქმედა არტილერიის გრიგალისებური ცეცხლი, რამაც ჩვენი ჯარი იძულებულჰყო ისევ უკან დაეხია მდ. იკვისკენ. გალიციასთან მოსაზღვრე რაიონში მტერმა მთელი რიგი იერიშისა მოიტანა ოლექსინეცზე. ჩვენი ჯარის ენერგიული შეტევით მტერი უკუქცეულ იქნა. ხელში ჩავიგდეთ 3000 კაცზე მეტი და 4 ტყვიის მტყორცნელი. ტრემბოვლის სამხრეთ დასავლეთით დობროპოლის მიდამოებში ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა იერიში მიიტანა მტერზე. მტერი გაიქცა. დაედევნა რა მტერს ჩვენი ცხენოსანი ჯარი, ბევრი გაჟლიტა, ნაწილი კი ტყვეთ წამოიყვანა წინაწარი დათვლით ტყვეთ წამოყვანილია 500 ჯარის კაცამდი და 17 ოფიცერი. ვიხელთეთ 2 ტყვიის მყორცნელი.

**შენიშვნა.** დამატებითი ცნობით, ლუცკის რაიონში ტყვეთ წამოყვანილია 128 ოფიცერი და 1000 ჯარის კაცი. წინასწარი დათვლით ტყვეთა რიცხვი იყო 80 ოფიცერი და 4000 ჯარის კაცი.

13 სექტემბერი. დვინსკის პოზიციების ფრონტზე ცოტა სიწყნარე ჩამოვარდა. ტყვეების ჩვენებით, უკანასკნელ ბრძოლებისა და ჩვენ მიერ მოგერებულ იერიშების დროს მტერმა დიდი ზარალი ნახა.

გუშინდელ ბრძოლაში, დრისვიატის ტბაზე სოფელ დრისვიატის აღებისათვის, გერმანელები განდევნილ იქნენ ამ სოფლიდან. მდ. ვილიისა რაიონში (ვილეიკის ზევით) სასტიკი ბრძოლა გრძელდება. სოფელი ნესტორკი ჩვენ დავიკავეთ. ვალეიკის რაიონში გერმანელებმა მთელი რიგი იერიშებისა მოიტანეს, რომელიც ორა ერთჯერ მისულა ხელჩართულ ბრძოლამდი, მაგრამ იერიშები მოგერებულ იქნენ. ვილეიკის ჩრდილო-დასავლეთ რაიონში ჩვენმა ჯარმა ხიშტებით ბრძოლის დროს აიღო გამაგრებული სოფელი ოსტროვი და დაიბრუნა უკან სოფელი გირი. სმორგონის ფრონტზე და სამხრეთით ბრძოლა გრძელდება. სოფ. ლაზდუნის რაიონში და აღმოსავლეთით მტერმა საარტილერიო სროლა გაავითარა. ჩვენმა ჯარმა ეს სოფელი დასტოვა.

ნოვეგრუდის აღმოსავლეთით სოფელ ბოდგურიესთან სასტიკი ბრძოლა მტრისა შტიკებით მოვიგერიეთ. ამ ბრძოლაში ტყვეთ წამოვიყვანეთ 4 აფიცერი და 92 ჯარის კაცი. ფოლვერკ-მრისინის რაიონში ნოვოგრუდკის აღმოსავლეთით, უუსასტიკესი ბრძოლა მოხდა. თხრილები ხელიდან ხელში გადადიოდა. ფოლვერკ-მარისინის ცოტა სამხრეთით მტერი განდევნილ იქნა თხრილებიდან სოფელ სტორსიკულჩიცთან ტყვეთ წამოვიყვანეთ 600 გერმანელი, ტყვიის მტყორცხელი და 2 ყუთი ყუმბარა. ცოტა კიდევ სამხრეთით დიდი სისხლის ღვრის შემდეგ ჩვენ დავიკავეთ სოფელი. სტრუმონზე ბრძოლის დროს გერმანელები მდინარის იქით გავსდევნეთ, დასტოვეს რა ბრძოლის ველზე ბევრი დაჭრილი და მოკლულნი. პინსკის სამხრეთით სტატჩევოსთან ხიდი დასწვეს. პრიპიატის სამხრეთით მდებარე ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. უკანასკნელი ბრძოლები ამტკიცებს ჩვენი ჯარის ძლევამოსილობას. გარდა ამისა გერმანელების მთავარი ბინის ცნობა ტყვეთა რიცხვის შესახებ განზრახ ძლიერ შემცირებულია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: პულოვიცის რაიონში ჩორტკოვის დასავლეთით, ჩვენმა კავალერიამ იერიში მიიტანა ავსტრიელებზე, რომელნიც სიმაგრეებს აგებდენ. ამოსწყვიტა 18 კაცი და აფიცერი. დანარჩენი 1 აფიცერი და 47 ჯარის კაცი ტყვეთ წამოიყვანა, დაკარგა რა თვითონ 2 მსუბუქათ დაჭრილი ჯარის კაცი. მეორე ადგილას მცირე რიცხოვანმა მზვერავთა დაზმა იერიში მიიტანა 20 ავსტრიელისაგან შემდგარ სადარაჯო რაზმზე. ტყვეთ წამოიყვანა 9, დანარჩენი ამოსწყვიტა.

**პეტროგრადი** 12 სეკტემბერი. ოლთისის მიმართულებით ხისტასპორის რაიონში ჩვენმა მზვერავებმა ოსმალები შეავიწროეს. იშხონისა და ტევას მიდამოებში ოსმალებმა უშედეგო ცეცხლი აწარმოეს ჩვენს პოზიციებზე. სივრიჩაის მიდამოში ჩვენი მზვერავები უეცრათ თავს დაესხნენ ოსმალების საყარაულოს ზოგი ხიშტებზე ააგეს და ზოგი ტყვეთ წამოიყვანეს. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

**ათენი.** 13 სეკტემბერი. გაზეთი ესტია აცხადებს ოთხთა შეთანხმებას, რომელსაც საბერძნეთის მთავრობამ მიმართა თხოვნით მათი დამოკიდებულების გამოსარკვევათ საბერძნეთისადმი, თუ რომ უკანასკნელს მოუხდება კავშირის ვალდებულობის შესრულება სერბიასთან, იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ბალკანეთის სახელმწიფო მას თავზე დაეცემა. გუშინ ოთხთა შეთანხმებამ უპასუხა, რომ გარდა განაუსაზღვრელი ფინანსიური დახმარებისა ისინი მზათ არიან საბერძნეთის სახელმწიფოს განკარგულების ქვეშ გახადონ ექსპედიციონური კორპუსი 150000 კაცით, რომელთაც შეეძლებათ სამხედრო მოქმედების ზღვაში გაშალა.

დღეს დილით პოლიტიკური ჰორიზონტი საბოლაოთ მოიწმინდა ვენიზელოსის მეფესთან აუდენციის შემდეგ, რომელმაც საათ ნახევარი გასტანა. მეფესა და პრემიერის შორის სრული თანხმობა სუფევს ყველა იმ კითხვებზე რომელნიც კი მობილიზაციას შეეხება. მეფესა და პრემიერის თანხმობას საზოგადოება აღტაცებით შეხვდა.

**ბუქარესტი.** 13 სეკტემბერი. „ინდეპანდან რუმანი“ იუწყება, რომ მინისტრთა საბჭო 11 ეკენისთვეს ერთხმათ მივიდა იმ დასკვნაზე, რომ ბულგარეთისა და საბერძნეთის მობილიზაციამ უნდა შესცვალოს რუმინიის პოზიცია და ამისათვის რუმინიის ჯარი უნდა დარჩეს, როგორც წინათ შეგროვილი საზღვრების სივრცეზე.

**ტეგერანი.** 14 სეკტემბერი. ოსმალეთის გენერალური კორპუსი ჩვენმა მთავრობამ დააატყვევა და გაგზავნა კავკასიაში.

**მინსკი.** 13 სეკტემბერი. ჩვენი ჯარის მარჯვე მოქმედებით ვილნის გუბერნიაში ქალაქის საბჭომ მოუწოდა მცხოვრებლებს სიმშვიდის დასაცველათ და არ დასტოვონ ქალაქი. რის გამო ქ. მინსკში საგრძნობლათ იმატა სიმშვიდემ.

**ტომსკი.** 14 სეკტემბერი. დაარსდა ახალი განსაკუთრებული კომიტეტი შემოწირულების შესაგროვებლათ, რომელსაც მიზნათ ექნება რუსეთის ქვეშევრდომათ დახმარება.

**პარიზი.** 13 სეკტემბერი. ჩრდილოეთით არასზე ჩვენი იერიში ისეთი წარმატებული იყო, რომ ჩვენ ხიშტებით ავიღეთ იუში და წავიწიეთ ეუზანშის აღმოსავლეთისაკენ. სამხრეთით ჩვენ მივაღწიეთ ლაფორამდე და წავიწიეთ ტელიურის ჩრდილოეთით დანგრეულ ტელაგრაფამდე, სადაც დავატყვევეთ 1000 კაცი. შამპანში ჩვენი ჯარი წინ მიიწევდა, რომელმაც ანბერივის და ვილსიურბურბის შუა მთელს ფრონტზე გადალახა მტრის სიმაგრეები. ჩვენმა ჯარმა ჩრდილოეთით 4 კილომეტრზე მტერს უკან დაახევინა. ბრძოლა გრძელდება მთელ ხაზეზე, ჩვენ მივაღწიეთ ეპინ—დე—ველდკრანჟს გავიარეთ ლაკადანი და სუე სეპზე მიმავალი გზა.

აღმოსავლეთით ჩვენ დავიჭირეთ ეუზონდე შამპანის ფერმა. ჩვენი არტილერით და ხელჩართული ბრძოლით მტერს დიდი ზიანი მივაყენეთ. იუწყებიან კიდევ ჩვენი ჯარის მიერ 24 საველე იარაღის დაჭერას ტყვეთა რიცხვით 16000 კაცს აღემატება მათ რიცხვში 200 აფიცერია. ამგვარათ მოკავშირე ჯარმა ორი დღის განმავლობაში მთელ ფრონტზე 2000 ტანმრთელი ტყვე წამოიყვანა.

**გავრი.** 13 სეკტემბერი. ბელგიის უწყება. მტრის არტილერია სუსტათ მოქმედობს საღამოს 12 სეკტემბერს ჩვენ ხელთ ვიგდეთ გერმანელების მდინარე იზერის მარჯვენა ნაპირზე 15 კაცი და ერთი უნტერ აფიცერი.

**რომი.** 13 სეკტემბერი. ბრძოლა გრძელდება ჩევენალის მიდამოებში, სადაც მტერი მაგრდება.

11 სეკტემბერს ჩვენს პოზიციებზე იერიში მიიტანეს ჩედეცის არხთან, მაგრამ ჩვენი ჯარი ზემო ვალტელინიდან საჩქაროთ მიიჭრა და მტერი უკუაგდო.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 13 სექტ. საღამოს ოფიციალური ცნობა. ბელგიის სანაპიროებზე ჩვენმა ბატარეიამ ხელი შეუწყო ინგლისის ფლოტს გერმანელების პოზიციებზე ზარბაზნების დაშენის დროს. ვესტენდესა და მიდელკერკეში ინგლისის ჯარმა მარჯვე იერიში მიიტანა გერმანელების პოზიციებზე. ჩვენმა ჯარმა, რომელიც ინგლისის ჯართან ერთად შეთანხმებით მოქმედებდა, არასის ჩრდილოეთით ენერგიული იერიში მიიტანა მტერზე და კიდევაც გამაგრდა მტრის ხაზის რამდენსამე პუნქტზე. სამსა და ენს შუა ბრძოლა ხდებოდა ნაღმებისა და ყუმბარების საშუალებით. კანი სიურსცის სეკტორში ჩვენმა არტილერიის ცეცხლმა ააფეთქა სამხედრო სურსაის საწყობი. შამპანში სიუილსა და ენს შუა არტილერიის ცეცხლის დაშენის შემდეგ ჩვენმა ქვეითა ჯარმა იერიში მიიტანა გერმანელების თხრილებზე. მოწინავე პოზიციები მტრისა თითქმის მთელს ფრონტზე ჩვენ დავიკავეთ. ლოტარინგიისა, ვევრსა და ვოგეზებში და მის მიდამოებში ღამემ წყნარათ გაიარა. 12 ეკენისთვეს მთელი დღის განმავლობაში მტრის არტილერია ძლიერ მოქმედებდა მთელს ფრონტზე, განსაკუთრებით რიკსმიუდეს ჩრდილოეთით. ჩვენი ბატარეია უპასუხებდა.

**ათინა.** 13 ეკენ. გამოცხადდა საალყო წესები ფლორინის, სოლუნის, სერესის და კავალის მიდამოებში. მთელს საბერძნეთში გამოცხადებულია მორატორიუმი ორის თვით.

**ბერნი.** 13 ეკენ. გერმანელების ორმა მფრინავმა გადაიფრინა პრუნდრუტის მიდამოებზე. ჩამოაგდეს ორი ყუმბარა უშედეგოთ. შვეიცარიის მთავრობამ ამის გამო პროტესტი განუცხადა ბერლინის მთავრობას და მოითხოვა მფრინავების დასჯა.

**ბუქარესტი.** 13 ეკენ. ბულგარეთთან მიმოსვლა შეწყვეტილია. ცნობების მიღება გაძნელებულია. გაზეთები თანაგრძნობით უყურებენ სერბიას და ამტყუნებენ ბულგარეთის მთავრობას, სერბიის საზღვრებისკენ ჯარის გაგზავნის გამო.

**რომი.** 13 ეკენ. ბულგარეთის ელჩმა რომში გაზეთებს აცნობა, რომ ბულგარეთის მობილიზაცია არ უნდა გაიგონ ისე, ვითომც ბულგარეთი საომრათ ემზადებოდეს. ბულგარეთს არ აქვს აგრესიული მისწრაფებანი, მას სურს მხოლოდ დაიცვას თავისი დამოუკიდებლობის უფლებანი. ამის გამო იგი ღებულობს წინასწარ გასაფრთხილებელ ზომებს, რადგანაც ბულგარეთის ახლოს სხვათა სახელმწიფოების ჯარების მოძრაობა ხდება, რომელიც ემუქრება ბულგარეთის ნახევარ კუნძულს ავსტრო-გერმანელების მხრით აგრესიული მისწრაფებებით. ამ განცხადებამ ვერ დააკმაყოფილა პოლიტიკური წრეები. გამოსთქვამენ აზრს, რომ ბულგარეთი შეიძლება არ გამოვიდეს საერო კრების მოწვევამდი. თუმცა საჭიროა მომზადება ყოველგვარ მოულოდნელობისათვისო.

**ნიუიორკი.** 14 ეკენ. სანდიეგოდან კალიფორნიას ატყობინებენ, რომ იაკი მექსიკის პროვინცია სონორის ინდოელებმა სახალხო მატარებელი დაამსხვრიეს. 80 მგზავრი საქონლის ვაგონში ჩაყარეს, გარშემო თივას ცეცხლი წაუკიდეს და სულ ერთიანათ ამობუგეს.

**ათინა.** 13 სექტ. საბერძნეთში მობილიზაცია სასწრაფოთ მიმდინარეობს. ხალხი თანაგრძნობით შეხვდა მობილიზაციის განცხადებას. რუსულ გაზეთების წერილები აქ კარგ შთაბეჭდილებას ახდენს ხალხზე. საალყო წესები მალე გამოცხადდება. კონსტანტინეპოლიდან იტყობინებიან, ფონ-დერ-გოლც ფაშა, ენვერ ფაშა, იზმაილ ფაშა და გერმანელების 10 უფროსი აფიცერი სმირნას გაემგზავრენ სიმაგრეების დასათვალიერებლათ. გერმანელი აფიცრები განუწყვეტლივ მიდიან კონსტანტინოპოლში. ოსმალეთის ქარხნებს რეკვიზიცია უყვეს ყუმბარების ჩამოსასხმელათ, მაგრამ ვერ შოულობენ ფოლადს. დამზადებული ყუმბარები უვარგისი გამოდგა. ბულგარეთი შეუწყვეტლივ აწვდის ოსმალეთს სამხედრო სურსათს. მთელი ოსმალეთი სამხედრო ბანაკათაა გადაქცეული. სიმაგრეები სამგვარ მავთულიან ღობეებით არის შემოზღუდული. გადმოგვცემენ, რომ ბულგარეთის ზოგიერთ სოფელში გლეხები მობილიზაციის წინააღმდეგ წავიდენ. სოფლებში ამბოხებაა. ხალხს არ სურს გაილაშქროს სერბიის წინააღმდეგ. მობილიზაციასთან ერთად აქ გერმანელთა ძალმომრეობამ იჩინა თავი. აქ იმყოფებიან გერმანელი სამხედრო პირები, რომელნიც როგორც სჩანს, ხელმძღვანელობას გაუწევენ რკინის გზაზე მიმოსვლის დროს. რადოსლავოვმა სოციალისტ აგრარიებს განუცხადა, რომ გადაწყვეტილება საბოლოოთ მიღებულია და თქვენი ცდა უნაყოფო იქნებაო. სოციალისტებმა უპასუხეს, რომ მთავრობამ კრედიტზე ხელი არ მოუწეროთ. ამაზე რადოსლავოვმა აცნობა სოციალისტებს, რომ მთავრობა კრედიტს არ საჭიროებს, რადგანაც გერმანიის მთავრობა ყოველთვიურათ იძლევა 50 მილიონს ომის გათავებამდიო.

**ლონდონი.** 11 სექტემბ. ინგლისის გემი „ურან“-ი დაიღუპა. ეკიპაჟი გადარჩა. მეფემ მიიღო ბარკი.

**ნიში.** 13 ეკენ. დრინსკის ფრონტზე, ელაშნიცის რაიონში, ვიშეგრადის ჩრდილო-დასავლეთით, ჩვენმა ჯარმა ხელი შეუშალა მტრის ციხე-სიმაგრეების მუშაობის განგრძობას.

**ცეტინიე.** 11 ეკენ. 8 და 9 ეკენისთვეს. ავსტრიელებმა მძლავრათ დაუშინეს ჩვენს კოროორსკის ფრონტს არტილერიის ცეცხლი, რომლის მფარველობითაც იერიში მოიტანეს. ჩვენმა არტილერიამ ენერგიულათ უპასუხა და ჩააჩუმა. ჩვენ მოგვიკლეს ერთი აფიცერი და ერთი ჯარის კაცი, 6 დაიჭრა. 10 ეკენ. მტერი უშედეგოთ ესროდა ჩვენს პოზიციებს კოროორსკის ფორტებს მტრის ჰაეროპლანმა უშედეგოთ ესროლა 2 ყუმბარა.

**ნიში.** 11 ეკენ. სავის ფრონტზე 8 ეკენ. მტერს ხელი შეუშალეთ ციხე-სიმაგრეებზე მუშაობის დროს. ბელანის გორაკებს მტერმა ცეცხლი დაუშინა, მაგრამ ჩვენმა არტილერიამ მტრის ბატარეია ჩააჩუმაა. მტრის ჰაეროპლანს, დუნაიზე გადაფრენის დროს, ჩვენმა არტილერიამ ყუმბარები ესროლა. ჰაეროპლანი რუმინეთის საზღვარზე ჩამოეშვა. ალიონთან მტერმა არტილერიის ცეცხლი გააჩაღა მაგრამ აქაც ჩავაჩუმეთ. 10 ეკენ. ღამით ორი ნავით მტრის ქვეითა ჯარი ცდილობდა მდ. სავა-დრინზე გადმოსვლას და რაჩისთან უკუვაქციეთ. ოსტრუჟნიცის საწინააღმდეგოთ ციხე-სიმაგრეების აგების დროს მტერს მუშაობაზე ხელი ავალებიეთ ორპარში.

**ბუქარესტი.** 12 ეკენ. კონსტანტინოპოლიდან ცნობაა ერთობის და პროგრესის კომიტეტმა დიდი მანიფესტაცია გამართა ბულგარეთის გამოსვლის გამო. ოსმალეთის პრესა აღფრთოვანებას ძლევა ამის გამო და ირწმუნება, რომ საბერძნეთი ნეიტრალური დარჩებაო.

# ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

### ვის მხარეზეა ბულგარეთი?

კორესპონდენტების გადმოცემით სამხედრო წრეებში გადაჭრით ამბობენ, რომ ბულგარეთი გერმანიის მხარეზე უკვე დადგა და კითხვა გადაწყვეტილათ უნდა ჩაითვალოსო. ბულგარეთის ჯარი ნახევარ მილიონამდე ირიცხება. (ბ. ვ.)

### ბულგარეთის სამხედრო მობილიზაცია..

ბულგარეთის სამხედრო მობილიზაციის უქაზი უკვე გამოიცა. მთავარ სარდლათ დანიშნულია ტახტის მემკვიდრე. ამბობენ, რომ სოფიაში ოპოზიციის შეერთებული პარტიები მანიფესტს გამოსცემენ და ხალხს მოწოდებით მიმართავენ, რომ ის მეფის პოლიტიკის შეწყვეტას დროზე შეეცადოს. (კ. ს.)

### ბულგარეთის სამხედრო მზადება.

ბულგარეთში სამხედრო სამსახურში მიიწვიეს 1896 წ.—1913 წლამდე ჩარიცხული სათადარიგო—ზაპასნები—ჯარის კაცნი. შავი ზღვის ნავთსადგურები. ვარნა და ბურგასი დანაღმეს; ფორტებზე მორტირები დადგეს. ყველა ამების საპასუხოთ რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში კითხვაა აღძრული, რომ სოფიიდან რუსეთის დესპანი სავინსკი გამოიწვიონ.

### რუსეთის ხალხის სახელით.

მოსკოვის სლავიანთა საზოგადოების კომიტეტის თავჯდომარემ, ნ. გუჩკოვმა ბულგარეთის ოპოზიციის ლიდერებს: დანევს, გეშოვს, მალინოვს და სტამბოლინსკის შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „რუსის ხალხს სურს იწამოს, რომ ბულგარეთის ხალხი მათ არ გაყვება, რომელთაც დაღუპვის გზაზე მისი დაყენება განუზრახავთ. (კ. ს.)

### საფრანგეთის და ინგლისის ჯარების რიცხვი.

პარიზიდან გაზეთებს აუწყებენ, რომ სანიტარმა ბერანჟემ გამოაცხადა, რომ საფრანგეთს ამ ჟამათ სულ 5 მილიონი ჯარის კაცი ჰყავს გაწვეული, რომელთაგან 3 მილიონი უკვე ბრძოლის ველზე მოქმედობს. ხოლო ინგლისმა დღემდე სულ 3 მილიონი შეაგროვა. საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი მოითხოვს, რომ მეტი ძალები იყვნენ განსაკუთრებით დარდანელში და გადამჭრელი ლონე იხმარონ იქ.

### ბულგარეთის და [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტროგრადის დიპლომატიას საბერძნეთის და რუმინიის პოზიციის მტკიცეთ დაცვის დიდი იმედი აღარ აქვს. ხმა ისმის, რომ კონსტანტინე და ბულგარეთის მეფე ფერდინანდი ერთმეორეს კერძო ხასიათის პირობით შეეკვრენო (რ. ს.)

### ბულგარეთის მინისტრის აზრი.

ბუქარესტიდან გაზეთებს აუწყებენ, რომ წასულ სამშაბათს (8 სექტ.) საიდუმლო კრებაზე ბულგარეთის მთავარ მინისტრმა როდისლავოვმა შემდეგი სთქვა: „ამიერიდან რუსეთი აღარ არის: ჩვენ არ შეგვიძლია მკვდარს ჩავებღაუჭოთ და შველა-დახმარება ვთხოვოთ. ჩვენი ეროვნული იდეალების განმხორციელებელი გერმანიის თოფ-ზარბაზანი და ყუმბარაა! ჩვენი მოწინააღმდეგე სტამბულინსკი სასტიკათ იქმნება დასჯილიო. (თ. ვ.)

### რუსეთის ბრძოლის პირზე.

ამ ბოლო ხანებში ბრძოლა დვინის ნაპირებზე უფრო განცხოველდა. განსაკუთრებით დიდი ბრძოლები დაიწყო რიგის და დვინსკის რაიონებში. სამაგიეროთ კოველ-სარნის რაიონში ბრძოლა მინელდა: გერმანელებმა აქ რამდენიმეთ უკან დაიხიეს. გალიციაშიაც (ტარნოპოლის რაიონში მდ. სერეტაზე) მდგომარეობა უცვლელია;

### ბულგარეთში საალყო წესები გამოცხადდა.

როგორც ინგლისური გაზეთების გადმოგვცემენ მთელ ბულგარეთში საალყო წესები გამოაცხადეს: ყველა კრებები აკრძალეს. (კ. ს.)

### აღმოსავლეთის ფრონტზე.

„ნოვოე ვრემიას“ გადმოცემით არის იმის უტყუარი ნიშნები, რომ გერმანელნი ვილნას რაიონში დღეიდან კვლავ იმდენათ განაგრძობენ შეტევას, რამდენათაც ეს საჭირო იქნება ვილნა-დვინსკის ფრონტის მათ ხელში შესანარჩუნებლათ; მით უფრო, რომ ეს ფრონტი მხოლოდ რიგის წინააღმდეგ დაწყებულ ოპერაციის დასაფარავათ არის დანიშნული: ამას გარდა ისინი ამით რუსეთის ფრონტიდან თავისი კორპუსების გადაყვანასაც ადვილათ ფარავენ; კორპუსები კი უფრო საჭირო და ახალ ადგილებში გადაჰყავთ. ამ მიზნით ისინი ცდილობენ ვილნას რაიონში გამართულ ბრძოლებს მეტი მნიშვნელობა მისცენ მთავარ ოპერაციათ მოგვაჩვენონ. მომავალი მათი სტრატეგიული კომბინაცია ბულგარეთის ჯარის მოქმედებასთან შეთანხმებული, ცხადათ გვიჩვენებს, თუ რუსეთის ფრონტიდან საით გადაიყვანეს მათი ზოგიერთი კორპუსი. ვილნას რაიონის ოპერაციის დამთავრება მათ საშუალებას აძლევს აგრეთვე, რომ რიგის რაიონში მოქმედება გააძლიერონ. მომავალში მოსალოდნელია იქ დიდი ბრძოლები გაჩაღდეს. (ნ. ვ.)

# ქრონიკა.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

### რ უ ს ე თ ი.

### მუშების პატრიოტობას ცნობენ.

რუსული გაზეთების სიტყვით უკვე გამოირკვა, რომ მუშები ახლანდელი მომენტის სრულ სიმწვავეს გრძნობენ, რისთვისაც მათ ანტიპატრიოტობას ვერავინ შესწამებს. ამიტომ მთავრობამ გადაწყვიტა მეტი ყურადღებით მოექცეს ფაბრიკა—ქარხნების ყოფა-ცხოვრებას და მუშათა გაფიცვების წინააღმდეგ რეპრესიული ზომები დიდი სიფრთხილით მიიღოს.

### „ნოვოე ვრემიას“ ლიბერალობა.

მოსკოვის ახლანდელ სიეზდების გამო „ნოვოე ვრემია“ სწერს: „მთელი ქვეყნის ძალ ბის გამაერთიანებელმა ორგანიზაციამ ზე მყოფი მმართველი ძალაუფლებაც უნდა შემოიერთოს. საზოგადოებისა და მთავრობის შორის დადებული ზღვარი უნდა წაიშალოს. (ნ. ვ.)

„კადეტების“ ოფიციოზის სიხარული.

„რეჩი“ აღნიშნავს, რომ როგორც იყო ლიკვიდაცია მოახდინეს სათათბიროს დათხოვნის გამო გამოცხადებული პროტესტის იმ ფორმების, რომლებმაც ქვეყნის

ნომიურ ცხოვრებაში დიდი დეზორგანიზაცია შეაქვთ.

სახელმწიფო სათათბიროს ხელახლავ მოწვევის გამო.

სათათბიროს თავმჯდომარის ხელმწიფის წინაშე წარდგომა და მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელიც 10 სექტემბრისთვის იყო დანიშნული რამდენიმე დღით კიდევ გადადეს. (კ. ს.)

იმედი არ გაუმართლდათ

პეტროგრადიდან კორესპონდენტები იუწყებიან, რომ თავრიდის სასახლეში გუშინწინ მინისტრების—შჩერბატოვის და პოლივანოვის—ჩამოსვლას მოუთმენლათ მოელოდენ: იმედი ჰქონდათ, რომ მდგომარეობა გამოირკვეოდა; მაგრამ მოსტყუვდენ, იმედი აღარ გაუმართლდათ. მდგომარეობა საერთოთ ისევ გამოურკვეველია. (რ. ვ.)

ალ. გუჩკოვის წინააღმდეგ.

როცა ქალაქების წარმომადგენელთა სიეზდზე ხელმწიფე იმპერატორის წინაშე წარსადგენ დელეგაციის წევრებს ირჩევდენ, მაშინ ალ. გუჩკოვის კანდიდატურის წინააღმდეგ ბეზჩინსკიმ განაცხადა, რომ მაგისთანა ტკბილმოუბარ პირებს არ უნდა ვირჩევდეთ: ჩვენი დღევანდელი ყოფის პასუხის მგებელნი ესენი არიან. ესენი იყვნენ, რომ მესამე სათათბიროში ქვეყნის დაცვის კომისიის წევრებათ ოპოზიციის კაცები არ მიიღესო. ასეთი განცხადების მერე ალ. გუჩკოვი მართლაც გააშავეს და დელეგატებათ აირჩიეს: ჩელნოკოვი, რიაბუშინსკი და ასტროვი.

მოსკოვის სიეზდების შესახებ.

გაზეთ „რან. უტრო“-ში მოსკოვის სიეზდის შესახებ ანკეტის გამო დეპ. კერენსკის შემდეგი პასუხია მოთავსებული: „მცხოვრებთა ფართე წრეებს შეუძლია სთქვან, რომ ეს სიეზდი კიდევ ერთ ახალ ილიუზიის მხოლოთ განცდას წარმოადგენსო.

პ. დურნოვო გარდაიცვალა.

პ. დურნოვო, რუსეთის რეაქციის ერთი მხცოვანი ბურჯთაგანი 12 სექტემბერს გარდაიცვალა. ამ დღეს დილით მოხუცს, 1905 წლის ყოფილ მთავარ მინისტრს თავი როგორღაც ცუდათ უგრძვნია, მაგრამ ცოტა ხნის მერე კაბინეტში მაინც შესულა და გაზეთების კითხვას შესდგომია; კითხვის დროს მას გულის ძგერა ავარდნია: მაშინვე ექიმები მოუყვანიათ, მაგრამ კაბინეტში უკვე 70 წლის მიღწეული პ. დურნოვო ცოცხალი აღარ დაუხვდათ. (კ. ს.)

## უცხოეთი.

### ჩინეთის პოლიტიკური მდგომარეობა

გაზეთის „ვეჩერნეე ვრემია“ ცნობით ჩინეთის დახმარების ნაციონალური კავშირი და ზოგი სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები ამ ბოლო ხანებში გაცხარებულ აგიტაციას ეწევიან, რომ ჩინეთი კვლავ გამოაცხადონ მონარქიათ, რომლის სათავეში ახლანდელი მთავარ მინისტრი, იუანშიკაი უნდათ ჩააყენონ. ამის წინააღმდეგ ჩინეთის დემოკრატიის ლიდერი, რესპუბლიკანელი სუნიატზენი და გერმანიის დესპანი გინცე ქვეყნის ყველა ძალებს თავს უყრიან. გერმანიის ფულით (?) ამ მიზნისთვის განსაკუთრებით გაზეთებიც გამოდის, რომლების საშუალებით იუანშიკაის პიროვნებას ყოველ მხრით აშუქებენ.

---

## დავეხმარნეთ მგოსანს!

და მე ავტირდი, გით მეფე ლირი—
ლირი ყველასგან მიტოვებული!..

გალ. ტაბიძე.

გინახავთ როდისმე, სოფლის ბოლოს მოდუდუნე მდინარის პირად, განმარტოებით მდგომი ტირიფი,-აი ნაღვლიან ძეწნას რომ ეძახიან?*)

დაჰკვირებიხართ როდისმე რა სიოცნებოთ დაუხრია თავი, რამდენი საიდუმლოება გამოიხატება მის დაშვებულ ტოტებში, რა ტკბილათა და თან გულსაკლავათ შრიალებს ხოლმე საღამოობით, მინდვრიდან წამონაქროლ სიოზე?—

ყური დაგიგდიათ როდისმე მთვარიან ღამეში, იმ დროს, ოდეს ცა მორცხვათ უღიმის ხოლმე ღრუბლებში ნებივრათ მოსრიალე მთოვარეს,-როგორის გულმოდგინებით, როგორის თავდავიწყებით როგორის გატაცებით ეაკლუცება ძეწნა იგი ყრუთ მოლუკლუკე მდინარის ტალღებს და რა ნაღვლიანათ შესჩივის ხოლმე თავის მარტოობას, თავის უმწეობას, თავის სევდა-ვარამს!

*) ნაღვლიანი ძეწნა—плакучая ива.

ისიც ხომ გინახავთ, რომ დრო გამოშვებით ძეწნას დახრილ ტოტებიდან ჩამოგორდებიან ხოლმე ცვარ-მარგალიტები და კვნესით აწყდებიან მდინარის მღვრიე მკერდს, რომ გასწმინდოს იგი ჭუჭყისაგან, გაალხოს მისი გაცივებული გული და ამცნოს მას მარადისობა ყოფნისა, უილაჯობა და უმწეობა მარტოობისა!

ისიც ხომ გინახავთ, როგორის თავ გამოტებით გადაეფარება ხოლმე—ქარიშხლის დროს—ძეწნა იგი მდინარეს, რომ გრიგალმა არ ამოშხეპოს წყალნი მისნი, არ ამოაშროს ძალნი მისნი და დედამიწას არ მოაკლოს მადლი და ცხოველმყოფელობა მთის ცრემლებიდან შეკონილ უკვდავებისა.

აი ასეთ ნაღვლიან ძეწნას მაგონებს ჩვენს უახლესს მწერლობაში—ახალგაზრდა მგოსანი გალაკტიონ ტაბიძე!..

არა გჯერათ? წაიკითხეთ მისი ლექსები ცალკე წიგნათ გამოცემული,-განიცადეთ კვნესა მისის გულისა და სევდა მისის არსებისა.

ზეგარდმონიჭითცხებულ პოეტის,—ნამდვილი მგოსნის-სიმღერა „შენის სიტყვით“ არ გადმოიცემის, როგორც ხელი არ შეეხება ეთერს, როგორც თვალით არ დაინახვების ჰაერი!..

მეც სიტყვით ვერ გადმოგცემთ ძალას და ძლიერებას გ. ტაბიძისას. იგი უხილავი ტრფობაა დამწვარის გულისა, იგი ბნელ ღამეში დაღვრილი ცრემლებია ჩვენის დღიურ სიცხადით დამწვარ თვალებისა!..

ჩვენ ბევრი ძალიან ბევრი გვყავს პოეტები. მოლექსეები! გვყავს მტირალანიც და გვყავს მყვირალანიც. კითხულობთ მათ და მწარეთ ეცინებათ მათ ყალბ გრძნობაზე, კითხულობთ მათ და გიკვირთ მათი გაქიაობა. გრძნობთ, რომ ლექსი მათი ნაყოფია უმეცრებით აღსავსე ყოყოჩობისა, სიმღერა მათი შედეგია გაყვითნებულ თავ-დავიწყებისა!..

„აქეთ გორასა წილსა ვკრავ
და იქით გორას ძრას ვუზამ,
ას ფუთ რკინასა დავლეჯავ,—
ენას მოვუქნევ—ყლაპს ვუზამ“-ო.

ხშირათ გაგახსენდებათ ხოლმე ბევრი ჩვენი პოეტის კითხვის დროს ჩვენი ხალხის სარკასტიული თქმულება-და მართლაც გაკვირვებას ეძლევით, რომ ასეთ მყვირალა მგოსნებს ჰყავს თავისი დამქაშები, პოეზიის ასეთ „ნაცარ-ქექიებს“ ჰყავს თავისი „კრიტიკოსები“ თავისი „დამფასებელნი“, თავისი დამქაშები და მერე იმდენი, რომ მათ წინააღმდეგ შიშით ხმა ვერც კი ამოგიღია.

რომ სთქვა რამე ჯვარს გაცმენ და ისე გაგლანძღვენ, რომ იქნება მტკვარმა და რიონმა ვერც კი გაგრეცხოს...

ნამდვილი პოეზია და ნამდვილი პოეტი ისეთივე იშვიათია, როგორც ნამდვილი ადამიანი, როგორც ნამდვილი მამულიშვილი, როგორც ნამდვილი ქირისუფალი.

ტეხნიკამ და ქიმიამ ბევრი საოცრება გამოიგონა. ცხოვრება ბევრს თაღლითობას მარგალიტებათ ასაღებს და რასაკვირველია რომ თაღლით მარგალიტებში გარეული ჭეშმარიტი-მარგალიტი შეუმჩნეველი დარჩეს, ბრჭყვიალა ფოლაქებს შორის თქრო მძივი, ძვირათ ვინმემ შეამჩნიოს...

ასე მოსდით ბევრ ჩვენ ნამდვილ-პოეტებს და საერთო ღრიანცელში მათი ნაზი, საერთო და საერო ამონაკვნესი ხშირათ ბევრს აღარ ესმის.

სწორეთ ეს არის მიზეზი, რომ ბევრი ჩვენი ახალგაზრდა მწერალ-პოეტი დღემდე შეუმჩნეველი რჩება და იმის მაგივრათ, რომ საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს, ამის მაგივრათ, რომ საზოგადოებამ ხელი შეუწყოს უტყუარი ნიჭის გაფურჩქვნას და მშობლიური დახმარება გაუწიოს-დამწყები იგი ჭეშმარიტის ჰანგისა და მსოფლიო სევდის გამოსათქმელად გამზადებული ახალგაზრდა მგოსანი იგი-სულს ღაფავს სადმე ნესტიან სარდაფში: ავადმყოფი მშიერი, მწყურვალა, შიშველი,-უპატრონოთ და უამხანაგოთ.

ბევრმა ჩვენმა ჩინებულმა მწერალ-პოეტმა დალია სული ამ ბედში. ბევრი მათგანი დასჭკნა-გაუფურჩქნავათ გაუხარებლად.

მაგალითები საჭირო არ არის. ვინც თვალ-ყურს ადევნებს ჩვენ მწერლობას, იმან ძალიან კარგად იცის მათი სახელები. ვინც შეპყრობილი არ არის პარტიული ჟინით, ან დაბრმავებული არ არის თვითმოყვარეობითა და თავ-დავიწყებით, ის კარგათ ხედავს ჩვენი მწერლების უმწეო მდგომარეობას...

ასეთ უმწეო მდგომარეობაში იმყოფება ახალგაზრდა მგოსანი გალ. ტაბიძეც...

თქვენ ხშირათ გენახებათ, ქუთაისურებო, მაღალ-მაღალი, გამხდარი, მაგრამ მშვიდი სახის, ცოცხალი, ცეცხლის მფრქვევი თვალებიანი, ახალგაზრდა კაცი. ნელის ნაბიჯით, რომ დადის ხანდახან ბულვარის ქვაფენილებზე და ნაღვლიანის თვალებით ათვალიერებს თავდავიწყებას მოცემულ მოსეირნეთ...

— ვინ იცის რას ფიქრობს, რას გრძნობს ხოლმე ამ დროს? ძნელი სათქმელია! ერთი კი აუცილებლად უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველ ასეთ სეირნობის შემდეგ, იგი უსათუოთ დასწერს ხოლმე ისეთ ლექსს, რომელიც მხილებაა ჩვენის ფუქსავატობისა და გადაგვარება-თავდავიწყებისა...

— ვკითხულობთ კი ამ ლექსებს?..

მე მგონია რომ-ძალიან ნაკლებათ, თორემ ასე დავიწყებული არ გვეყოლებოდა იგი, ვინც სწუხს ჩვენ მაგივრათ და სამშობლო ქვეყნის სამსხვერპლოზე დნება წმინდა სანთელივით ჩვენის ცოდვებისა და უმეცრების გამოსასყიდათ.

აი ეს ყმაწვილი მგოსანი-ოც ამ თვეს ქალაქის თეატრში ჰმართავს სალიტერატურო საღამოს თავის სასარგებლოდ. ძნელი და აუტანელი უნდა იყოს ძალზე ხელ-მოკლე მგოსნისათვის ასეთი ხელის გაშვერა-მაგრამ ჩვენ ვაგრძნობინოთ, რომ ალალია მისთვის თითოეული ჩვენთაგანის წვლილი, როგორც დედის რძე და ჩვენის პროზით, ჩვენის გროშების გაღებით შევუქმნათ მას ისეთი მდგომარეობა, რომ ერთხანს მაინც დაავიწყდეს „ძებნა ლუკმა პურისა“ და ჩვენის თანაგრძნობით გამხნევებული, ოცნებით გაფრინდეს ცაში ვარსკვლავებთან სალაპარაკოთ, მიწიერ ბოდმა-ნაღველის გასაქარვებლად.

მაშ, ოც ამ თვეს გავწიოთ ყველამ ქართულ თეატრისაკენ!..

ეს არის ჩვენი მოვალეობა!..

ია. ეკალაძე.

---

## გაზ. „თ. აზრის“ რედაქციისადმი.*)

### შეკითხვა.

(„თ. აზრის“ მე-159 №-ში დასტამბულ ანის წერილის—„ორი ბლოკის“ გამო).

მოგეხსენებათ დღევანდელ საბედისწერო მომენტში გაზეთისათვის და მით უფრო სახალხო ორგანოსთვის უპირველესათ ყოვლისა გარკვეული, მტკიცე და შეურყეველი პოზიციის დაჭერა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. მართალია დღევანდელი საერთაშორისო ომი იმდენათ მძიმე და თავზარდამცემი მოვლენა გამოდგა ხალხისთვის, რომ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის მწყობრ რაზმებ შიაც კი შეიტანა მან არევ დარევა, დაქსაქსულობა, უთანხმოება და განხეთქილებაც კი; მარა ამასთან ყველასთვის თვალსაჩინოა ის მოვლენა, რომ სოციალ-დემოკრატიის ყოველმა ცალკე ჯგუფმა და წარმომადგენელმა დაუყონებლივ აირჩია ერთ-ერთი პოზიცია და იქ გამაგრდა. გეხსომებათ, რომ ომის გამოცხადების პირველ დღეებში ომის წინააღმდეგ მხოლოთ ერთათ ერთი ხმა, ხმა კარლ ლიბკნეხტისა გაისმოდა! მალე გამოერკვენ სხვებიც და დღეს, ომის წლის თავზე ვერ ვამჩნევთ ევროპიელთ შორის ისეთ ჯგუფს, გინდ პიროვნებას, რომ გარკვეული პოზიცია არ ეჭიროს.

ჩვენ რაღა მოგვივიდა? ნუ თუ მართალი იყო ანი, როცა სთქვა: „ქართველმა მუშამ ამ ომის დროს პოლიტიკური ეგზამენი ვერ დაიჭირაო.“

სრულიადაც არა, ქართველი მუშა და მასთან ერთათ ქართველი ხალხი ერთი წუთითაც არ დაბნეულა: ის მყისვე შესაფერ პოზიციაზე დადგა და დიდებულ მომენტის შესახვედრათ მზადებას შეუდგა. ვინც ჩვენ ხალხში ცხოვრობს და მასთან მჭიდრო კავშირი აქვს, იგი აშკარათ გაიგონებდა აქა-იქ გამოთქმულ გრძნობას, აზრებს და ხმებს, რომლებიც ნათლათ ხატავდენ ჩვენი ხალხის მიერ დაკავებულ პოზიციას.

ამას ის გარემოებაც აშკარათ ამტკიცებს, რომ 1914 წლის 26 ივლისს დუმის ტრიბუნიდან კარლო ჩხეიძის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს და მის მიერ დაკავებულ პოზიციას ჩვენი ხალხი აღტაცებით და სრული თანხმობით მიეგება: არავისგან საეჭვო და საყოყმანო არაფერი გაგვიგონია.

საეჭვოსა და საყოყმანოს მხოლოთ ზემოხსენებულ გაზეთში (ამ წერილის შინაარსი არსებითათ შემდეგ შევეხებით.)

ვკითხულობთ და ვწუხვართ, გულით ვწუხვართ, რომ ძველი გამოცდილი დაბრძენებული ჩვენი მებაირაღტრე ჩვენს აღტაცებას და პოზიციას არ იზიარებს.

ჩვენ მისგან ჩვენი სულისკვეთებას, ნაგრძნობ-ნააზრევის მეცნიერულათ დასაბუთებას მოველოდით და ის კი ჩვენს დამცირება-გმობას შესდგომია.

სამწუხაროა, მეტათ სამწუხაროა ვიმეორებთ, მარა განა ამაზე უფრო სამწუხარო არაა მუშებისათვის: ძველი „ინტერნაციონალის“ დაშლა, ვანდერველდეს განდგომა, გედის გამინისტრება და ს. დ. დოქტორ ზიუდეკუმის გერმანიის მთავრობის აგიტატორათ გადაქცევა?

დიაღაც რომ უფრო სამწუხაროა! მაგრამ რა გაეწყობა?! ისტორიის ჩარხი ასე ტრიალებს: ცხოვრებაში გაჩენილ წინააღმდეგობათ ზევით ამოისვრის ხოლმე და იქით-აქეთ ფანტავს.

ეს ჩვენშიაც ასე მოხდება: ჩვენი ინტერესების და ცხოვრების განვითარების შეუფერებელ აზრებსა და პოზიციას ვერც ჩვენ მივიღებთ და ცხოვრების ულმობელი ტალღებიც მას მალე აღგვის.

ჩვენ არ უნდა ვიყოთ იმ აზრის, რომ ვისმე ჩვენთაგანს თავისი აზრის წარმოთქმის საშუალება წაერთვას, მარა იმავე დროს სასტიკათ უნდა ვიცავდეთ, რომ ყოველმა ჩვენმა ორგანომ ყოველ მორიგ კითხვაში ერთი გარკვეული და მტკიცე პოზიცია დაიკავოს. „ორი ბლოკის“ ხსენებულ ორგანოს ფურცლებზე უშენიშვნოთ დაბეჭდვა კი დიდ არევ-დარევას და გაუგებრობას იწვევს მკითხველთა შორის და ამიტომ იგი დასაშვები არ უნდა იყოს.

ვერ გაგვიგია: რედაქცია ანის პოზიციაზე დგას, თუ წინააღმდეგია მისი!

ორში ერთი უნდა ვიფიქროთ: ან რედაქცია თანახმაა ანის და ამ შემთხვევაში შენიშვნის მიცემას საჭიროთ არ თვლის; ანდა ანის აზრებს თუმცა არ აზიარებს, მარა ვერც მის უარყოფას ბედავს.

თუ პირველს ვიგულისხმებთ, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ დღემდე პატივცემული რედაქცია გვატყუებდა, როცა გვიჩვენებდა: თითქო ის სხვა პოზიციაზე იდგა და თუ მეორე მოსაზრებას მივიღებთ, იმ შემთხვევაში გულახდილათ უნდა მოვახსენოთ, რომ ასეთი „ტაქტიკა“ ქართველი ხალხის გამბედაობის და პირათ მოქმედობის შესაფერი არაა.

მუშა საზოგადოთ პირათქმელია და გაბედული, მით უფრო ქართველი მუშა და როცა ჩვენ ვამჩნევთ, რომ მისი სახელით ერთ გვარ „პოლიტიკას“ აწარმოებენ რომელიმე პირის შესახებ, თუ გინდ ეს პირი ჩვენი ძველი ლიდერიც იყოს, არ შეგვიძლია ხმა არ ამოვიღოთ და ყოველივე ზემოთქმული პატივცემულ რედაქციის წინაშე დავფაროთ.

ჩვენ ერთ წუთსაც არ ვივიწყებთ, რომ „ზოგჯერ თქმითაც დაშავდების,“ მარა ევროპის და რუსეთის მაგალითები საბუთს გვაძლევს, რომ ჩვენს ლიდერებს მართალი, გულწრფელი და პირდაპირი სიტყვა, რაგინდ ის მწარე იყოს, პირში ვუთხრათ!

და თუ თქვენ გგონიათ, რომ პირდაპირი და გულწრფელი პასუხი ვისმე შეცდომაში შეიყვანს და [illegible] ბანაკში გადისვრის, [illegible] (რომ თქვენც იმავე აზრის ბრძანებულხართ ქართველი მუშის შესახებ, რაც ამას წინათ ანმა გამოთქვა ერთ თავის წერილში და რომელიც მე ზემოთ მოვიყვანე):

შეიძლება ფიქრობთ: ასე რომ მოვიქცეთ, რას იტყვიან მაშინ ჩვენზე ჩვენი მოწინააღმდეგე ჯგუფებიო. ეს ხომ გრიბოედოვის გმირის ფამუსოვის სახელმძღვანელო პრინციპია: „რას იტყვის მაშინ მარია ალექსის ასულიო“.

მე მგონია ასეთ პრინციპს პოლიტიკურათ მომწიფებულ ხალხში ადგილი არ უნდა ქონდეს და თუ ჩვენში მას ანგარიშს გაუწევთ, ეს ჩვენივე თავის დამცირება იქნება.

არის კიდევ ერთი მოსაზრება, რომლის ძალით შეიძლება ვისმეს სურს ანის „მადლიანი კალამი“ „ჩვენს ორგანოებს“ არ მოაკლოს, შეანარჩუნოს.

თუმცა ეს მოსაზრება ყველაზე უფრო საბუთიანია, მარა ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს არ გამართლდება ამის თავდებია უმთავრესად თვით ანის მოქნილობა და „მისი ფერის ცვალებისადმი.“ საოცარი მიდრეკილება: აკი თვით ანჩინი სიამწორით აღნიშნავს, რომ ანმა ჯერ მარტო ეროვნულ პრობლების გამორკვევაში „სამჯერ იცვალა ფერი“; უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთივე „ფერიცვალება“ მოხდება სხვა „სადაო კითხვების“ შესახებაც და მაშინ სამწუხაროც ამ მხრით აღარაფერი გვექნება. ჩვენ სწორეთ ამ „ფერის ცვალებას“ დაუცდიდით, მანამ კი გულ დასმით წავიკითხავდით, როგორც ანის წერილებს ისე რედაქციის შენიშვნებსაც.

ახლა კი მხოლოდ ანის წერილს ვხედავთ და შენიშვნები სადღაც გამქრალა!

უკანასკნელ საფიქრებელია ისიც, რომ „ჩვენ წრეებში“ ამ ჟამათ „გაბატონებულ“ მოღვაწეებს რამდე დასჭირდათ ასეთი „პოლიტიკა“?!

ამ შემთხვევაში საჭიროთ მიგვაჩნია, რომ „ჩვენი წრეებიცა“ და „ჩვენი ორგანოებიც“ ასეთ თვითქეიფა მოღვაწეებისაგან ერთხელ და სამუდამოთ გაიწმინდოს.

დასელი.

P. S. მწარე გამოცდილებით ვიცი, რომ ბევრია ჩვენში კიდევ ისეთი გულუბრყვილი და საქმეში ჩაუკვირვებელი, ან ჩვენი ყოფილი ლიდერებისაგან მოხიბლული, რომლებიც მეტყვიან: კაცო! ეს წერილი რატომ „თ. აზრს“ არ გაუგზავნეო?

—ამიტომ, ვეუბნები წინდაწინვე მათ, რომ „თ. აზრი“ როგორც პირადი გამოცდილებითვე ვიცი „ასეთ წერილებს“ არავის არ უბეჭდავს. ამისთვის გადავწყვიტე, რომ არც პატივცემული რედაქცია უარის თქმით არ შემეწუხებია და არც თავი ლოდინით არ მომეტყუებია. მე ვარჩიე გაზეთ „სამშობლოს“ სტუმართ მოყვარეობით მესარგებლა.

დ.

*) ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ ჩვენ არ ვიზიარებთ არც ბატონ დასელის და არც ბ-ნ ანის აზრებს, მაგრამ რადგანაც ბ-ნ დასელის შეკითხვას დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი მშრომელი ხალხისათვის და ალბათ შესაფერ პასუხსაც მიიღებს ბ-ნ ანისაგან—რაც გამოარკვევს დიდად საყურადღებო საკითხებს ჩვენ ვუთმობთ ადგილს ამ წერილს, მით უმეტესს, რომ, როგორც ბ-ნი დასელიც ამბობს ამ შეკითხვას „თანამედროვე აზრი“ ადგილს არ მისცემდა.

ჩვევ კი წინააღმდეგნი ვართ ყოველგვარის კარიკატიულებისა და დემაგოგიისა, რედ.

---

## ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

გუშინწინ, 14 ეკენისთვეს, აკურთხეს ახლად დაარსებული „სინათლის“ საზოგადოების მიერ გახსნილი დედათა სასწავლებელი თფილისის ქუჩაზე მეიფარიანის სახლში. კურთხევას აურაცხელი ხალხი დაესწრო. სასკოლო ოთახი ხალხით გაჭედილი იყო, ბევრი დამსწრე ქუჩაში იდგა. კურთხევას დაესწრენ აგრეთვე ეპარქიალურ სასწავლებლის მოსწავლე ქალები. კურთხევის დროს გრძნობიერი სიტყვები წარმოსთქვეს სასწავლებლის ინსპეტორმა ბ. დიმიტრი უზნაძემ, მღვ. სპირიდონ ლეკვეიშვილმა, ბ. კიტა აბაში-

ძემ და სტ. საყვარელიძემ. როგორც ეტყობა, ქუთაისის საზოგადოება დიდი თანაგრძნობით შეხვდა ამ ახალ სასწავლებელს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალშიაც წყარ მოაკლებს ამ ფრიად საყურადღებო და სასარგებლო სასწავლებელს თავის თანაგრძნობას.

✦ 12 ეკენისთვეს თფილისის სამხედრო საოლქო სასამართლომ გაარჩია ანარქისტთა ჯგუფის საქმე, რომელიც ჯგუფიც მოქმედობდა საერთა-შორისო ანარქისტთა საზოგადოების კავკასიის განყოფილების სახელით. მათ სხვადასხვა ბოროტ-მოქმედება ბრალდებოდა. სასამართლომ სამს დახრჩობა გადაუწყვიტა 6—24—24 წლით კატორგა თითოეულს, სამს—სხვადასხვა ვადით გამასწორებელი რაზმი, 13 გაამართლა.

✦ 12 სექტემბერს ქუთ. თეატრში წარმოდგენა გაიმართა. წარმოადგინეს ისტორიული 4 მოქ. დრამა ა. ცაგარლისა „ქართველი დედა". წარმოდგენამ საერთოდ სუსტათ ჩაიარა.

✦ როგორც ზემო იმერეთიდან (ქვიათურა-საჩხერის რაიონი) გვწერენ, სიმინდის მოსავალი წელს ძალიან ნაკლებია. ღვინის მოსავალი ხომ სრულებით არ ერის. ხალხის სასოწარკვეთილებას საზღვარი არ აქვსო.

✦ თფილისის გუბერნატორმა ნება დართო ივანე დღუშურაშვილს, გამოსცეს თფილისში კვირეული გაზეთი, სახელად „ზვირთი"

✦ ამავე გუბერნატორმა ნება მისცა სვიმონ კალანდაძეს გამოსცეს თფილისში კვირეული გაზეთი "ახალი ტალღა".

✦ ნინო დავითის ასულის გრიგოლიასაგან ჩვენმა რედაქციამ მიიღო 2 მ. აჭარლების სასარგებლოთ.

✦ აბასთუმნიდან გვწერენ: საბოლოოთ გადასწყდა წოდვერში ბაგონ ქართველ მოღვაწეთა საავარაკო სახლი. აბასთუმნის საზოგადოება ამ ფრიად სიმპატიურ საქმეს დიდი აღტაცებით შეხვდა. საავარაკო სახლის აშენებათ ყველანი სიამოვნებით იღებენ თავის წვლილს.

✦ ქალ. სანიტარმა ექიმმა რ. დადუნაშვილმა და სანიტარმა ი. ჩაჩანიძემ დაათვალიერეს კაზარმა სადგურის მახლობლათ ელიგულაშვილის და თავ. თუმანოვის შენობაში და დიდი უწესრიგობა აღმოაჩინეს. ფეხსადგილის ორმოები ავსებულია, სიბინძურე ფეხსადგილებიდან გადადის ბალახვანის ქუჩის კანაოებში ეპარქიალური სასწავლებლის მახლობლათ. შენობის პატრონებს ორი დღის ვადა მიეცათ სიბინძურის გასაწმენდათ.

✦ ქალ. სანიტარმა ჩაჩანიძემ ოქმები შეუდგინა ბალახვანის ქუჩაზე იასონ ჩხეიძეს და პელაგია ჩუბინიძისას უსუფთაობის გამო. ოქმი შეუდგინა აგრეთვე ქარვასლის ქუჩაზე მეხილეს სპირიდონ ტოროზელაძეს, უსუფთაობისათვის.

✦ მხატვარმა გრ. მესხმა დიდ ტილოზე ფერადი საღებავებით დახატა გალაქტიონ ტაბიძის სურათი. ამავე მხატვარს ეკუთნის: აკაკის, ვასო აბაშიძის, საფაროვ—აბაშიძისა, ქართველი მრავალი მწერლების საზოგადო მოღვაწეების დახატული სურათები. უკანასკნელი გალაქტიონ ტაბიძის სურათი სხვა სურათებთან ერთად უნდა გამოფენილიყო საშემოდგომო გამოფენაზე, რომელიც ეტნოგრაფიულ საზოგადოების დაუხმარებლობის გამო აღარ შესდგება.

✦ ქუთაისის ბაზარზე ყურძენი უკვე შემოვიდა ფუთი 3 მანათად ფასობს.

✦ სოფ. გეჯეთის (ოდიში) მცხოვრებთ დაუდგენიათ, სამუდამოთ მოსპონ ქელეხი და საზოგადოთ ყველა იმ გვარი ჩვეულება, რომელიც ზედმეტ ხარჯს იწვევს.

## ქუთაისის ქალაქის სკოლების გარშემო.

(სასკოლო კომისიის საგულისხმოდ).

წელსაც ჩვეულებრივ ქალაქის პირველ დაწყებით სკოლებს აურაცხელი მთხოვნელი მოაწყდა, მაგრამ უადგილობისა გამო ორ ნაწილს უარი გამოეცხადა და ატირებულნი დედები თავისი პატარა ბიჭებ-გოგოებით უკანვე გაბრუნდენ. მაგალითად, მესამე სკოლაში, რომელიც არსებობს წყალ გაღმა ნაწილში, გამოცხადდა 120 მთხოვნელი, რომელთა რიცხვიდან დაკმაყოფილებულ იქნა მხოლოდ 40, ანუ მოხდა სხვა სკოლებშიაც. მოთხ განყოფილებაში შემოსავლებად ყოველ დღე მოდის რამოდენიმე მოსწავლე, მაგრამ რადგანაც ქალაქის გამგეობამ უსახსრობისა გამო წელს თავისი ხარჯით ვერ გახსნა არსებულ სკოლებში მეოთხე განყოფილების კლასები, ამის გამო კომისიამ, თანახმად მშობლების თხოვნისა, 10 სექტემბერს სხდომაზე დაადგინა, გაიხსნას მესამე სასწავლებელში 40 მოსწავლისათვის ეს განყოფილება, რისთვისაც გადახდეს ერთი წლით თითეულ მოსწავლეს სწავლის ფული ოცი მანეთი, რომლიდგანაც უნდა მიეცეს ამ განყოფილების მასწავლებელს ჯამაგირიდან 600 მანეთი, დანარჩენი 200 მანეთი კი უნდა დაიხარჯოს სალვთო სჯულის და გალობის მასწავლებელთა დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე შეშისა და სხვა საჭიროებისათვის.

სასკოლო კომისიისავე დადგენილებით წელს უნდა გაეხსნა ქალაქს წყალ გაღმა ნაწილში ორპირის ქუჩის ბოლოზე მეხუთე პირველ დაწყებითი სკოლა, მაგრამ ჯერ ვერც ეს განხორციელდა თორემ ამდენი ბავშვი უადგილოდ აღარ დარჩებოდა.

ამავე სხდომაზე კომისიამ დაადგინა არჩეულ იქმნან მასწავლებლები სანიმუშო გაკვეთილების მიცემით ერთი ქალებისა და ორი ვაჟთა სასწავლებელთათვის, სადაც ამ ჟამად თავისუფალია ადგილები.

თხოვნების განხილვა და სანიმუშო საკონკურსო გაკვეთილების მიცემა დაიწყება 17 სექტემბერს ქალაქის მეორე სასწავლებელში; მთხოვნელთა რიცხვი ბევრია, (განსაკუთრებით ქალთაგან) როგორც ახლად კურს დამთავრებულნი, ისე რამოდენიმე წლის ნამსახურნი. სასკოლო კომისიამ ასეთ შემთხვევაში უნდა იხელმძღვანელოს ერთად სანიმუშო გაკვეთილებთან მთხოვნელის ხანგძლივი პრაქტიკით და ოჯახური გარემოებებით.

მათ რიცხვში არიან ისეთი, რომელთაც ჯერ არ უმსახურიათ არსად და არიან აგრეთვე ისეთებიც, რომელთაც უმსახურიათ 10—15—20 წელს პირველ დაწყებით სკოლებში. უკანასკნელთა შორის ბევრი ქუთაისის სასწავლებლებში ზრდის შვილებს და ამათ ესაჭიროებათ ქალაქში გადმოსვლა და სამსახური; ამიტომ გაკვეთილის მოწონების შემდეგ კომისიამ უპირატესობა ასეთ პირებს უნდა მისცეს დააფასონ მათი ხანგრძლივი მოღვაწეობა დაბა სოფლებში და თან მიიღოს მხედველობაში მათი 15—20 წლის პრაქტიკა. აი ასეთი ოჯახური გარემოებანი აიძულებს მათ ქალაქში გადმოვიდენ, თორემ ნივთიერად ისინი დღეს უფრო უზრუნველ ყოფილნი არიან მით, რომ ღებულობენ პერიოდიული დამატებით 600—700 მანეთს და ამასთან ეძლევათ ბინა, შეშა-განათება და მსახური. ახლად მოვლენილ მასწავლებლებს არაფერი არ უშავთ, რომელი სქესიდანაც უნდა იყვნენ, ჯერ იმსახურონ ათიოდე წელიწადს სოფლებში, სადაც სამკალი ბევრია და მუშა—კი ცოტა.

კომისიამ აგრეთვე მხედველობაში უნდა იქონიოს ის გარემოება, რომ ზოგიერთი მთხოვნელთაგანი ყოყოჩობს თავისი „დიპლომით", მარტო პატენტს აქცევს ყურადღებას, სკოლის ბავშვებთან კი ჯერ საქმე არა ჰქონია; ბევრს მათგანს დროებით სურს მოიკალათოს ქალაქის სკოლაში, საიდანაც შემდეგ თუ კი ახერხა ყოველ დღე ეცდება გაიქცეს და თბილ ადგილს შეაფაროს თავი ასეთი „კარიერისტი" მასწავლებელი სახალხო სკოლისათვის არ არის გამოსადეგი; აქ საჭიროა ისეთი ადამიანი, რომელსაც აქვს მოწოდება სახალხო მასწავლებლისა და სულითა და გულით უყვარს ეს პროფესია. ამ არჩევნების დროს გამოჩნდება კომისიის მოღვაწეობა: ვნახოთ, რით იხელმძღვანელებს იგი მასწავლებლების გამორჩევის დროს,—მათი ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობით და პრაქტიკით, თუ ნათლიმამ-მეგობრობა-ნაცნობობით და პატენტებ-დიპლომებით?! დასასრულ დაუმატებ, რომ დაწყებითი სკოლის მასწავლებელს საკმარისია ჰქონდეს წოდება სახალხო მასწავლებლისა, როგორც ცენზი, და მასთან საკმაო პრაქტიკა.

ლადო ბზვანელი.

## მ ო წ ო დ ე ბ ა

ქართველ ებრაელ რაბინებისადმი.

გუშინ, როდესაც ოცდა ოთხ საათს მშიერ-მწყურვალი, თეთრად შემოსილი იდექით სალოცავში უფლის წინ და ლოცვილობდით, სუფთა გულით წმინდა სულით, თორმეტი დღე ჩვენ წინ ლამე დგებოდით ლოცულობდით, დილით „შოფარს" (რქის საკრავია) უკრავდით და მითი ხალხს აგრძნობინებდით: გამოიღვიძეთ გაჩენილებო. ერთ თვეში წელიწადი გათავდება და უნდა შეხვიდეთ როშაშანაში. (სამართლის დღეა) ამ დღეს გაჩნდა პირველი ადამი და ეს დღეა „იუბილეი" მთელი კაცობრიობისა და ამ დღეს გასამართლდება ყველა უფლის გაჩენილი, ამ დღეს მოეკითხება ყველას ანგარიში თავის მოქმედებისა, მხოლოდ, თუ მოასწრო ბოროტმა თავისი ცუდი მოქმედების გასწორება, მას უფალი წარსულს აპატიებს, მხოლოდ „არ ეპატიება მათ, ვისაც თვით ადამიანებთან მიუძღვის-დანაშაულობა ამბობს „თალმუდი", თუ თვით დამნაშავე არ მივიდა დანაშაულთან, არ მოსთხოვა პატიება და არ შეირიგა". ეს მოსაზრებაც, ეს „შოფარის" დაკვრაც, თავისი ცერემონიით დიდ ერიალს უყონებას ყველას და ბევრს ბოროტს პირს თავისი ბოროტობიდან აბრუნებას და წმინდა გულით ხვდება ხსენებულ სამართლის დღეს. მთელი ოცდა ოთხი საათის ლოცვები გადაბმულია, ეროვნულ და კაცობრიულ იდეალზე, იწყებს „კაცობრიობაზე, მათ შვიდობაზე" „დაამყარე შენი ცოდნა შენს გაჩენილებზე და შეათვისე ყველანი ერთ კონასავითაო". სწყვეტს საერთო იდეალს და გადადის ეროვნულ იდეალზე: „მიუნიჭე მხიარულობა ჩვენს ქვეყანას (პალესტინას) გაახარე შენი ქალაქი (იერუსალიმი) აღორძინე რქა ჩვენი ერისა", ვიდრე მიაღწევდეს ეროვნულ იდეალის სიმაღლემდი. სწყვეტს და გადადის საერთო იდეალზე: "სიბრუნდეს მოეკრას პირი ბოროტობა კვამლივით დაილიოს, გადიკვეთოს ძალმომრეობა ქვეყნიდან, მიეცეს ყველა შენს გაჩენილს კაცობრიობის ზნეობა, სიყვარულობა და ცნობა შენი უფროსობისა. ახარე ხე თვისთ ტოტებით". ესე იგი ყველა ერი თავისი შვილებითო.

აი, ხომ ასე ლოცულობდით, ბატონო რაბინებო, მთელი ერობისთვის და თქვენი ერისთვისაც. თუ არ გეწყინებათ უნდა მოგმართოთ და გითხრათ: ეს ლოცვები წერილებს არა გვანან, მათი გავლენა არა თუ სალოცავში უნდა იყოს, ცხოვრებაშიაც დიდი ბედნიერებაა მისი კარგათ შეგნება და წრფელი გულით ლოცვა: როდესაც 1749 წელს ქ. დიჟონის სამეცნიერო აკადემიამ განცხადება გამოსცა, ვინც ნამდვილ პასუხს, გამოსთქვამს, სიტყვა „კულტურა" რას შეიცავს, 1000 ფრანკს ჯილდოს მიიღებსო, და ეს ჯილდო მიიღო ჟან ჟაკ რუსომ, რომელმაც დაამტკიცა რომ „კულტურა" არის: თავისიანის ცნობა და სხვის სიყვარულიო.

რუსოს თუმცა ბევრი ქარცეცხლის კრიტიკაში ატარებს დღესაც, მაგრამ მაინც დიდი ფილოსოფიური სიმართლეა გატარებული მის დიდებულ აზრებში. უნდა იზრუნო შენი ერისთვის, რომ შენ ერს შეეძლოს სარგებლობის მოტანა მთელი კაცობრიობისთვის. როცა ეროვნობა და კაცობრიობა ერთად არის გადაბმული რგოლივით, მაშინ მყარდება ნამდვილი კულტურა ქვეყნიერებაზე. თუ ერთია და მეორე კი არა, ამას მახინჯი სულიერი ეთქმის, რადგანაც ვერ შეუთვისებია ადამიანის ღირსება თუ მეორეა და პირველი არა ეს მხოლოდ მოტყუება. თუ თავისი ახლობელი კაცს არ უცვნია, სხვას იგი სულ ვერ შეიყვარებს, რადგანაც მტკიცდება, რომ მას არ აქვს ფსიხოლოგიურათ ადამიანის სიყვარული. და თუ ადამიანს არც ერთი აქვს და არც მეორე, ის კი პირუტყვზე უარესია.

ასეთ ადამიანს თავის მეტი არ ახსოვს და მასში სხვისი გაჭირვება ბინას ვერ პოულობს.

ოთხ დღეს უკან დგება უქმე სუქოთი (კარავობა) ამ დღის ლოცვებში, სხვათა შორის, იტყვით: „წინანდელ ერების (2000) (წლის წინათ) კერპებს თვალი ქონდათ, ვერ ყურობდნენ. ყური ქონდათ, ვერ იგონებდენ, პირი ქონდათ, ვერ ლაპარაკობდენ"-ო. დიახ, საპაცოლონი არიან ისინიც, ვისაც პირი აქვთ და თავისი ერისა და საერთო კაცობრიობის საქმეზე არ ლაპარაკობენ. თვალი აქვთ და ვერ ხედვენ, ირგვლივ რა ხდება და საით მიდის მისი ერი მოზარდი თაობა! ყური აქვთ, მაგრამ არ ეყურებათ ჭეშმარიტი ლაპარაკი: არ ესმათ სხვისი სისხლით დაწერილი სიტყვები, და არ ლხვება მათი გაყინული გული. დღე, დაიღუპის მომავალი, რას ვერ ხედ... მე თუ პირი მაქვს, ჩემს საქმეზე ვილაპარაკებ, თუ თვალი მაქვს, ჩემ საკუთრებას ვუყურებ, თუ ყური მაქვს, იმას გავიგონებ ვინც ჩემს სასარგებლოთ იტყვის რამეს.—ფიქრობენ ასეთი პირები. სთქვით, ბატონებო განა ამისთანა პირებს არ ავიწყდებს ჩვენი ამ დღეების ლოცვები, არ ასწავლის მათ ერის ცნობასა და კაცობრიობის სიყვარულს? ხოლო ვინც ამას ვერ შეიგნებს იგი კერპია და გასაძევებელი.

ბატონებო, სწორეთ ამას ცდილობს ჩვენი ერი, რომ კაცობრიობამ მოაღწიოს ბედნიერ ცხოვრებას.

ჩვენ—საქართველოს რაბინები,—თუ ამისთანა დიდებული იდეალის პატრონის ერს ვეკუთვნით, აბა რომ გაგვყინა ასე, რომ ვერ იქნა და ვერ გამოვიღვიძეთ, და ვერ გადავაბიჯეთ ჩვენს ჟინს, და ვერ მოვაღწიეთ იმ ღირსებას, დაგვემტკიცებინა, რომ ჩვენც ძმები ვართ იმ ერისა, რომელიც მიუხედავათ თავისი დაჩაგვრისა და ტანჯვისა, იბრძვის კაცობრიობის ბედნიერებისათვის. ძმებო, მოგიწოდებთ მწარე ხმით ეგებ ახლა მაინც იქონიოს თქვენზე ჩვენმა სარწმუნოების სამართლის დღემ გავლენა და მოგაშოროს პირადი ანგარიშები.

მაშ, მოვიყაროთ თავი საქართველოს ებრაელების რაბინებმა. დავინახოთ ჩვენი ერის სულიერი ნაკლულოვანება, მოვისმინოთ ერთმანეთისაგან აზრები, ვილაპარაკოთ რა არის ჩვენთვის აუცილებელი საჭიროება, შევკრათ ერთი ჯგუფი, დავაარსოთ ცენტრალური „იეშიბა" გავმართოთ ყველა პროვინციაში სასწავლებლები (თალმუდ თორაები), დავაარსოთ ფონდი სასწავლებლების სასარგებლოთ და გამოვარკვიოთ სხვა სადღეისო საკითხებიც. მართალია, ზოგიერთმა რაბინმა პირადათ დიდი თანახმობა გამომიცხადა მაგრამ ეს არა კმარა. საჭიროა, სხვებმაც გაიგონ თქვენი აზრი. ამიტომ ვული, რომ დღეიდან თითოეული რაბინი, ვისაც გებრალებათ თქვენი ერის მომავალი მოზარდები, ენერგიულათ ამოიღებთ ხმას და გვაცნობებთ: როდისთვის სჯობია კრების გამართვა და სად—უნდა მოხდეს იგი. ჩემი მხრით, ვნიშნავ 5 ოქტომბერს კრების ადგილათ ქ. ქუთაისს. ნებართვის აღებასაც უკვე შეუდექი და კიდეც ველი ამ ცოტახანში.

ახლა თქვენზე დამოკიდებული, ძმებო, საქმის მოგვარება და ხელის შეწყობა.

მოიქმედეთ იმისთანა საქმე თქვენი ერისთვის, რომ ისტორიამ თქვენც კარგათ მოგიხსენიოს.

[illegible]

## კ. დოდაშვილის ლექცია.

გუშინ ჩვენს რედაქციაში იყო ჩვენი ლინგვისტი ბ. კ. დოდაშვილი რომელიც მოსკოვის საიმპერატორო საარქეოლოგიო საზოგადოების დავალებით სამეგრელოში და სამურზაყანოში მიდის მეგრულ ენის გამოსაკვლევათ და მასალების შესაკრებად. ბ. კ. დოდოშვილმა უკვე მიიღო ქუთაისის ვუბერნატორისაგან ქაღალდი, რომლითაც ადმინისტრაციას ევალება ყოველნაირი დახმარება გაუწიოს მკვლევარს.

ბ. კ. დოდოშვილს განზრახული აქვს ლექცია მოიწყოს ქუთაისში მუსიკალურ დემონსტრაციით. ამისათვის ბ. ალ. გარისევანიშვილი ორკესტრს ამზადებს. ორკესტრის საშუალებით ბ. დოდოშვილი აჩვენებს საზოგადოებას, როგორ კითხულობდნენ ძველად ჩვენში პოეტურ ნაწარმოებს და მათ შორის „ვეფხის ტყაოსანსაც". შესაძლებელია ეს ლექცია ამ დღეებში მოეწყოს.

ლექციის პროგრამა შემდეგი იქნება:

I განყოფილება. სიმღერა-გალობა, მუსიკა და ცეკვა ძველ საქართველოში. გალობა მელოდიური და რეჩიტატიული. მუსიკა და სხვა და სხვა საკრავები. კერპთ თაყვანის მცემლობის ხანა. ცეკვა და მისი მრავალ-გვარობა პლასტიკა. მოგზაური მოშაირე მესტვირეები და მათი ყოფა-ცხოვრება. შაირი უხსოვარ დროიდან მოგონილი წყობილება ლექსისა, ერთ-ერთი სახე ტონური ლექსწყობისა. ქართული ლექსწყობა.

II განყოფილება. სახალხო პოეზია სასულიერო მწერლობა. მოგზაური მესტვირე ძაგნაკორელი. დაარსება საერო ხელოვნური პოეზიისა XI საუკუნის დასაწყისში. დავით აღმაშენებლის ხანა. სასახლის მოშაირეები: შავთელი, ბატონიშვილი დიმიტრი. თამარ მეფის ხანა: ჩახრუხა, რუსთაველი და სხვანი. ვინ იყო შოთა. რაგვარი წარმოდგენა უნდა ვიქონიოთ მისი. როგორ კითხულობდენ „ვეფხის ტყაოსანს" მე X და მე-XVII საუკუნოებში.

რედ.-გამომც. ი. თ ცინცაძე.


**მასწავლებელი** ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის; ვოლნოოპრედელიუშჩის 1 და 2 ხარისხისთვის; პრაპორჩიკების სკოლისთვის; მასწავლებლის ხარისხისთვის; სამიწათმზომელდა ტეხნიკურის სასწავლებლისათვის, უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლის მოწმობაზე; სპეციალურათ მეცადინეობს **არითმეტიკაში, ალგებრაში, გეომეტრიაში და ტრიგონომეტრიაში.** ადრესი: აბტრინის ქ. ბალახვანის ქუჩიდან სახაზინო პალატის ახლოს, სახლი სამხარაძისა. ნახვა დილას 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის, 5—6 საათამდის. 12—8

**გამოვიდა და იყიდება ყველა მაღაზიაში**
**მთავრიშვილის** წიგნის მაღაზიის გამოცემა ქართული წიგნი:
**„ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია",**
შედგენილი ს. რ. **გორგაძის** მიერ. ფასი 6 აბაზი.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

**დიდი იაფი ვაჭრობა**
**ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.**
**რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.**
პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.
თვ.

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**
**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი**
**ქართული და რუსული** სახელმძღვანელო **წიგნები,**
გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება **საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.**
თვ.

**ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში**
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
**მიღებულია დიდძალი**
**საპნის გასაკეთებელი „სოდა"**
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ძალიან ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.